განმარტებითი ბარათი

,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბერი №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1- ლი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტით დაკისრებული ვალდებულება.

ბ) დაგენილების პროექტის მიზანი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი

დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის N1764 განკარგულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ასახვის, ფინანსთა სამინისტროს მიერ წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის დაკორექტირებული თანხის ასახვის, ასევე 2023 წლის 19 ოქტომბრის მდგომარეობით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის რიგ პროგრამებზე არსებული ასიგნებების საჭიროებისამებრ სხვადასხვა მხარჯავ დაწესებულებებზე გადანაწილების აუცილებლობით.

დ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

დ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

დ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

დ.ბ.ა) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის N1764 განკარგულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის (105 000 ლარი) ზრდა აისახა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების - **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის** მუხლში (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი).

დ.ბ.ბ) ფინანსთა სამინისტროს მიერ წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის დაკორექტირებული თანხა (150 700 ლარი) აისახა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების **შემოსავლები გადასახადებიდან** მუხლში (გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე)

შესაბამისად, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები დაზუსტდა (255.70 ათსი ლარით) და ნაცვლად 22,736.16 ათასი ლარისა განისაზღვრა 22,991.86 ათასი ლარით.

დ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

დ.გ.ა) ბიუჯეტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე შეგიძლიათ იხილოთ ცხრილN1-ში.

ცხრილიN1

ორგ კოდი	დასახელება	მიზნობრიობა	სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	საახალწლო ღონისძიებები	50 000,00		50 000,00
01 01 04	მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა პროფ. განვითარება		-9 000,00		-9 000,00
01 02 01	სარეზერვო ფონდი	ფონდის ზრდა გადაუდებელი აიცილებლობებისთვის	56 000,00		56 000,00
02 01 01	გზებისა და ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია	ნაკას უბანში გზის რეაბილიტაცია	7 000,00		7 000,00
02 02 01	წყლის სისტემის მშენებლობა და რეაბილიტაცია	ფოცხო-ეწერის დასახლებაში ახალი წყლის საქაჩის შეძენა	55 000,00		55 000,00
02 02 02 01	წყლის სისტემების ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში	ჯგალის შიდა წყლის საგზაო სამსახურის მიერ დაზიანებული მაგისტრალისათვის შემაერთებელი კომპრესიული ქუროების შეძენა 15 ცალი x 70 ლარზე - 1050 ლარი ობუჯის წყლის მაგისტრალის მოწყობა - 5000 ლარი ეკლესიისა და ეკლესიის მიმდებარედ მცხოვრებთათვის სამფაზიანი წყლის ტუმბოს შეძენა და ავტომატური სამართავი პულტის მოწყობა - 3600 ლარი სოფ, მიქავაში წყლის მაგისტრალის დაქსელვა - 15000 ლარი	24 650,00		24 650,00
02 02 02 02	წყლის სისტემების ექსპლოატაცია ქ. ჯვარში	ქ. ჯვარში წყლის მილების შეცვლა	2 000,00		2 000,00
02 03 01	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია		-5 000,00		-5 000,00
02 03 02 01	გარე განათების ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში	კოსტავას ქუჩაზე გარე განათების მოწყობა - 2300 ლარი ნაკიფუ ლეჟას უბანში გარე განათების მოწყობა - 3100 ლარი ჯგალის შიდა გარე განათებისთვის - 10000 ლარი	15 400,00		15 400,00
02 04 02	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების კეთილმოწყობის ღონისძიებები	ელექტროდამტენის მიერთების ღირებულება	3 500,00		3 500,00
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		-28 000,00		-28 000,00

02 07	საპროექტო-სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საზედამხედველო ინსპექტირების მომსახურების ხარჯი		15 000,00		15 000,00
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და საპრევენციო ღონისძიებების დაფინანსება	განკ N116 (N1764)	105 000,00	105 000,00	
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ. წალენჯიხის ტერიტორიაზე	ტერენტობისთვის 6 ცალი დახლის გაკეთება - 2640 ლარი საწვავისათვის ფასის სხვაობა - 7310 ლარი	9 950,00		9 950,00
03 01 02	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ქ. ჯვარის ტერიტორიაზე	ჯვარში N1 საჯარო სკოლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის გაყვანა	11 500,00		11 500,00
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ცენტრი	საფეხბურთო კლუბის საპრემიო თანხის დამატება	10 000,00		10 000,00
05 01 04	სპორტული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	ჯგალის თემში სტადიონის მოწყობა - 40000 ლარი. სასარიოს უბნის სტადიონის მოწყობა-10000 ლარი.	50 000,00		50 000,00
05 02 01	კულტურის ცენტრის დაფინანსება	პიარ-მომსახურება	2 000,00		2 000,00
06 01 02	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება		19 700,00		19 700,00
06 01 03	ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა		7 000,00		7 000,00
06 01 04	თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა		8 500,00		8 500,00
06 01 05	მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა		17 000,00		17 000,00
06 01 07	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება		-8 000,00		-8 000,00
06 01 08	ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა		-8 000,00		-8 000,00
06 01 10	შშმ პირების რეაბილიტაციის ცენტრი		-40 000,00		-40 000,00
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება		-5 000,00		-5 000,00
06 02 03	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება		5 500,00		5 500,00
06 02	შშმ პირთა და მოვლის		-3 000,00		-3 000,00

05	საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა				
06 02 06	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება		-2 000,00		-2 000,00
06 02 10	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა		500,00		500,00
06 02 11	დიდი სამამულო ომის მონაწილე მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა		-4 000,00		-4 000,00
06 02 12	წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის საფასურის თანადაფინანსება		-8 000,00		-8 000,00
06 02 13	სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფა		-17 500,00		-17 500,00
06 02 14	წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა		-70 000,00		-70 000,00
06 03	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა		53 000,00		53 000,00
06 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა		-5 000,00		-5 000,00
07 02	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა		-10 000,00		-10 000,00
07 03	მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობა		-10 000,00		-10 000,00
07 04	ტურიზმის ხელშეწყობა		-40 000,00		-40 000,00
		სულ	255 700,00	105 000,00	150 700,00

შესაბამისად, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები დაზუსტდა (255.70 ათასი ლარით) და ნაცვლად 27,062.58 ათასი ლარისა განისაზღვრა 27,318.28 ათასი ლარით.

დ.დ) მუნიციპალიტეტის ახალი ფინანსური ვალდებულება

პროექტის მიღების შედეგად მუნიციპალიტეტი ახალ ფინანსურ ვალდებულებას არ იღებს.

დ.ე) დადგენილების პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და, შესაბამისად, არ ადგენს მათი განსაზღვრის წესს.

ე) დადგენილების პროექტის ავტორი

დადგენილების პროექტის ავტორია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი.